

ОБУЧЕНИЕ РУССКОМУ ЯЗЫКУ И РУССКАЯ РЕЧЬ В ГРУЗИИ

რუსული ენის სწავლება და საუბარი რუსულ ენაზე საქართველოში



Практическая брошюра-пособие
для семьи

პრაქტიკული სახელმძღვანელო
ბროშურა ოჯახებისათვის



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ევროპის საბჭო

В Грузии традиционно говорят на нескольких языках помимо грузинского. Эти языки представляют собой важное культурное наследие Грузии, доступное для каждого жителя Грузии. Чтобы сохранить это наследие и передать его будущим поколениям в качестве живых языков, крайне важно пользоваться ими как в личной, так и в общественной жизни.

Правительство Грузии заботится о национальных меньшинствах, проживающих в стране и обеспечивает как обучение их языкам, так и преподавание школьных предметов на их языках в общественных школах Грузии. Данная практическая брошюра-пособие, разработанная Министерством культуры и образования Грузии в сотрудничестве с Советом Европы, сообщает о преимуществах двуязычного обучения и содержит практическую информацию о том, каким образом и в какие школы можно регистрировать учеников с целью обучения их данным языкам.

Данное пособие доступно на языках тринадцати традиционных национальных меньшинств проживающих в Грузии. Это в частности: азербайджанский, ассирийский, абхазский, греческий, немецкий, курманджи/курдский, осетинский, русский, армянский, удинский, украинский, чеченский и хунзахский.

традиციულად, ქართულთან ერთად საქართველოში რამდენიმე ენაზე საუბრობდნენ. ეს ენები საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, რომლებიც ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია. იმისათვის, რომ აღნიშნული ენები მომავალ თაობებს გადაეცეს და მოხდეს მათი ცოცხალ ენებად შენარჩუნება, მეტად მნიშვნელოვანია, პირად და საჯარო ცხოვრებაში მათი გამოყენება.

საქართველოს ხელისუფლება ბრუნავს უმცირესობათა ენებზე, უზრუნველყოფს რა საჯარო სკოლებში ამ ენებზე ან ამ ენების სწავლებას. წინამდებარე პრაქტიკულ სახელმძღვანელო ბროშურაში, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით იქნა შემუშავებული, გადმოცემულია ორენოვანი სწავლების უპირატესობები და მოიცავს პრაქტიკულ ინფორმაციას, თუ როგორ და რომელ სკოლებშია შესაძლებელი მოსწავლეთა დარეგისტრირება ამ ენების სწავლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ცამეტ ტრადიციულ უმცირესობათა ენაზე, ესენია: აზერბაიჯანული, ასურული, აფხაზური, ბერძნული, გერმანული, კურმანჯი/ქურთული, ოსური, რუსული, სომხური, უდიური, უკრაინული, ჩინური და ხუნძური.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

Фотографии, использованные в брошюре, предоставили:
© Совет Европы, Цира Элисашвили (из фото-архива «Тбилисис Амკარი», стр. 7, бывшее здание ИМЕЛ),
Ираклий Соломонишвили,
Фото обложки Деа Соселиа, 2016

ბროშურაში გამოყენებული ფოტოები მოგვანოდეს:
© ევროპის საბჭო, ცირა ელისაშვილი („ტფილისის ჰამქრის“ ფოტოარქივიდან, გვ. 7, იმელის შენობა),
ირაკლი სოლომონიშვილი, ფოტო გარეკანზე: დეა სოსელიასი, 2016

СОДЕРЖАНИЕ

РУССКИЙ ЯЗЫК	6
ВКЛАД РУССКИХ В КУЛЬТУРНУЮ ЖИЗНЬ ГРУЗИИ	8
ПРЕИМУЩЕСТВА БИЛИНГВАЛЬНОГО (ДВУЯЗЫЧНОГО) ОБУЧЕНИЯ	10
СОВЕТЫ РОДИТЕЛЯМ/ОПЕКУНАМ В СВЯЗИ С РЕГИСТРАЦИЕЙ РЕБЕНКА В ОБЩЕСТВЕННУЮ ШКОЛУ ПОСРЕДСТВОМ ИНТЕРНЕТА	14
ЭТАПЫ РЕГИСТРАЦИИ	14
ДОКУМЕНТЫ, КОТОРЫЕ НЕОБХОДИМО ПРЕДЪЯВИТЬ ПОСЛЕ РЕГИСТРАЦИИ	18
РЕКОМЕНДАЦИИ И СОВЕТЫ	18
РУССКИЙ ЯЗЫК ПРЕПОДАЕТСЯ В СЛЕДУЮЩИХ ОБЩЕСТВЕННЫХ ШКОЛАХ ГРУЗИИ	20

სარჩევი

რუსული ენა	7
რუს მოღვაწეთა წვლილი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში	9
ბილინგვურობის/ორენოვანების უპირატესობები	11
რჩევები მშობლებს/მეურვეებს ინტერნეტის საშუალებით ბავშვის საჯარო სკოლაში რეგისტრაციის შესახებ	15
საფუძვლები	15
რეგისტრაციის გავლის შემდგომ, სკოლაში წარსადგენი საბუთები	19
რეკომენდაციები და რჩევები	19
რუსული ენა ისწავლება შემდეგ სკოლებში	21



”

Мы – Кузьма и Михаил Ослоповы. Мы живем в деревне Гореловка, здесь же у нас сыроварня. Мы делаем сыр по старинке, по традиционной технологии, которую нам передали наши предки, ничего не меняем. Это часть нашей культуры, и ее необходимо сохранить. То же самое касается языка. Ведь и язык – это неотъемлемая часть нашей культуры, мы им пользуемся постоянно, будь то в обществе или же в частной жизни. Более того, русский язык помогает нам с легкостью общаться с другими национальными меньшинствами, проживающими в Грузии – ведь он широко используется в стране.“



„ჩვენ ვართ კუმბა და მიხეილ ოსლოპოვები. ვცხოვრობთ სოფელ გორელოვკაში, სადაც ყველის საწარმო გვაქვს. ამ პროდუქტს წინაპრების მიერ დატოვებული ტრადიციული ტექნოლოგიით ვამზადებთ, არაფერს ვცვლით. ესეც კულტურის ნაწილია და აუცილებელია შენარჩუნება. იგივე ითქმის ენაზეც. ისიც ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია და ყოველდღიურად ვიყენებთ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პირად ურთიერთობებში. მეტიც, რუსული ენა გვცხმარება ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობებთან კომუნიკაციის ადვილად დამყარებაში, რადგან ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება“.



РУССКИЙ ЯЗЫК относится к восточно-славянской подгруппе языков. О давней истории взаимоотношений между грузинами и русскими свидетельствует и брак царицы Тамары с Георгием Русским (Юрий Боголюбский, князь Новгородский). Компактное поселение русских в Грузии начинается с XIX века, после упразднения Картли-Кахетинского царства. Проживавшие в Грузии русские внесли немалый вклад в развитие науки, культуры, промышленности и других отраслей в Грузии. Следует отметить, что в советский период русский язык был, да и поныне

остаётся языком общения между различными этническими группами. Обучение на русском языке ведётся в 75-ти школах и нескольких вузах страны. Кроме того, функционируют культурные центры и творческие коллективы. На русском языке выходят журналы и газеты (напр. еженедельник «Свободная Грузия», ежемесячник «Многоязычная Грузия»), издаются книги. В эфире Грузинского общественного вещания ежедневно выходят информационные теле (второй канал) и радиопередачи на русском языке. Некоторые поселения до сих пор имеют русские названия (напр. Гореловка).



«Сиротский дом» в селе Гореловка
„ობოლთა სახლი“ სოფ. გორელოვკაში



Здание «ИМЕЛИ» (здание бывшего Института Маркса-Энгельса-Ленина), Тбилиси, архитектор Алексей Щусев

„იმელის“ შენობა (ყოფილი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შენობა), თბილისი, არქიტექტორი ალექსეი შრუსევი



Русский храм в честь Св. Александра Невского, Тбилиси

წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსული ტაძარი, თბილისი

რუსული ენა აღმოსავლეთ

სლავურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. ქართველებისა და რუსების ხანგრძლივ ურთიერთობას მე-12 საუკუნეში მეფე თამარის გიორგი რუსთან (იური ბოგოლიუბსკი, ნოვგოროდის მთავარი) ქორწინებაც ადასტურებს. საქართველოში რუსების კომპაქტურად დასახლება მე-19 საუკუნიდან, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დაიწყო. აქ მცხოვრებმა რუსებმა წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერების, კულტურის, მრეწველობისა და სხვა დარგების განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში – და დღესაც – სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი

საკომუნიკაციოდ რუსულ ენას იყენებს. ამ ენაზე სწავლება 42 სკოლასა და რამდენიმე უნივერსიტეტში მიმდინარეობს. ასევე, ფუნქციონირებს კულტურის ცენტრები და მრავალი შემოქმედებითი ჯგუფი. რუსულ ენაზე გამოიყენა შურნალ-გაზეთები (მაგ.: ყოველკვირეული „სვობოდნაია გრუზია“, ყოველთვიური „მნოგონაციონალნაია გრუზია“) და წიგნები. საზოგადოებრივ მაუწყებელზე რუსულად გადის ყოველდღიური საინფორმაციო ტელე (მეორე არხი) და რადიო გადაცემები. ზოგიერთ დასახლებას საქართველოში რუსული სახელწოდება აქვს (მაგ.: გორელოვკა).

ВКЛАД РУССКИХ В КУЛЬТУРНУЮ ЖИЗНЬ ГРУЗИИ:

- ▶ Александр Грибоедов (1795-1829) – писатель и дипломат, похоронен в Тбилиси;
- ▶ Владимир Маяковский (1893-1930) – поэт и драматург;
- ▶ Дмитрий Ермаков (1846-1916) – фотограф;
- ▶ Григорий Гагарин (1810-1893) и Никанор Чернецов (1805-1879) – художники;
- ▶ Николай Северов (1887-1957), Корнелий Татищев (1868-?) и Алексей Щусев (1873-1949) – архитекторы;
- ▶ Государственный русский драматический театр им. Александра Грибоедова, основан в 1845 году;
- ▶ Музей Смирновых в Тбилиси, основан в 1985 году;
- ▶ «Сиротский дом» в селе Гореловка, построен в 1847 году, главное здание духоборов (русская христианская религиозная группа).

რუს მოღვაწეთა წვლილი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში:

- ▶ ალექსანდრე გრიბოედოვი (1795-1829) – მწერალი და დიპლომატი, დაკრძალულია თბილისში;
- ▶ ვლადიმერ მაიაკოვსკი (1893-1930) – პოეტი და დრამატურგი;
- ▶ დიმიტრი ერმაკოვი (1846-1916) – ფოტოგრაფი;
- ▶ გრიგოლ გაგარინი (1810-1893) და ნიკანორ ჩერნეცოვი (1805-1879) – მხატვრები;
- ▶ ნიკოლაი სევეროვი (1887-1957), კორნელი ტატიშჩევი (1868-?) და ალექსეი შჩუსევი (1873-1949) – არქიტექტორები;
- ▶ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი, დაარსდა 1845 წელს;
- ▶ თბილისში მდებარე სმირნოვების მუზეუმი, დაარსდა 1985 წელს;
- ▶ „ობოლთა სახლი“ („სიროტსკი დომ“) სოფელ გორელოვკაში, აშენდა 1847 წელს. დუხობორთა (რუსული წარმოშობის ქრისტიანული რელიგიური ჯგუფი) ძირითადი შენობა.

ПРЕИМУЩЕСТВА БИЛИНГВАЛЬНОГО (ДУВЯЗЫЧНОГО) ОБУЧЕНИЯ

■ Язык не является всего лишь средством коммуникации и передачи нашего мировосприятия. Язык передает культуру и традиции стран и живущих в них людей.

■ Знание грузинского языка необходимо для того, чтобы принимать участие в общественной жизни Грузии, найти работу и наладить отношения с соседями. Помимо грузинского языка, часть населения Грузии традиционно пользуется русским языком как родным, или иностранным. Сегодня русская речь вносит большой вклад в сохранение культурных и лингвистических традиций некоторых территорий нашей страны. Для семей, имеющих русскоязычных членов или предков передача русского языка из поколения в поколение является так же средством сохранения идентичности данной семьи.

■ Владение грузинским и русским языками так же может иметь и другие полезные преимущества. Исследования показали, что знание двух языков положительно влияет на процесс обучения. Активное владение двумя языками с раннего детства способствует развитию умственных способностей ребенка, что, впоследствии, помогает ему выработать различные навыки. На основе исследований выяснено, что двуязычный ребенок способен быстрее принимать решения, так как его сознание может переключаться с одного языка на другой. Он так же способен обработать нужную и пропустить ненужную информацию. Вследствие этого, двуязычные дети лучше справляются с проблемами, способны одновременно выполнять несколько дел, им легче принимать важные решения. Чем раньше дети начинают говорить на нескольких языках, тем лучше они развивают в себе эти возможности.

ბილინგვურობის/ორენოვნების უპირატესობები

■ ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის და ჩვენ მიერ სამყაროს აღქმის გადმოცემის საშუალება. ენა გადმოსცემს ადამიანებისა და ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებს.

■ ქართული ენის ცოდნა აუცილებელია საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, სამუშაოს მოსაძიებლად და მეზობლებთან ურთიერთობის დასამყარებლად. გარდა ქართული ენისა, რუსულ ენას ტრადიციულად იყენებს მოსახლეობის ნაწილი, როგორც დედაენას ან უცხო ენას. რუსულად საუბარს დღეს შეაქვს დიდი წვლილი ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ტერიტორიის კულტურული და ლინგვისტური ტრადიციების შენარჩუნებაში. ოჯახებში, სადაც არიან რუსულად მოსაუბრე წევრები და წინაპრები, რუსული ენის თაობიდან თაობისთვის გადაცემა არის აგრეთვე ოჯახის იდენტობის შენარჩუნების შესაძლებლობა.

■ ქართულად და რუსულად საუბარს შეიძლება აგრეთვე ჰქონდეს სხვა სარგებელიც. კვლევებმა აჩვენა, რომ, საზოგადოდ, ორი ენის ცოდნა დადებით გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე. ბავშვობიდან ორ ენაზე საუბარს აქვს დადებითი შედეგი ბავშვის გონების განვითარებისთვის, რაც შემდგომში ხელს უწყობს უნარების გაუმჯობესებას. კვლევამ აჩვენა, რომ ორენოვან ბავშვებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება სწრაფად, რადგან მათ გონებას შეუძლია გადართვა ერთი ენიდან მეორეზე. მათ ასევე შეუძლიათ, დაამუშაონ საჭირო და უგულვებელყონ უსარგებლო ინფორმაცია. შედეგად, რამდენიმე ენაზე მოსაუბრე ბავშვები უკეთ უმკლავდებიან პრობლემებს, შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება და უკეთ იღებენ გადაწყვეტილებებს. რაც უფრო ადრე დაიწყებენ ბავშვები სხვადასხვა ენაზე საუბარს, მით უკეთესად განავითარებენ ამ შესაძლებლობებს.

■ Соответственно, если вы говорите по-русски, старайтесь беседовать на этом языке дома, чтобы ваши дети привыкли применять его в различных ситуациях. Беседа за обедом, рассказ каких-либо историй, чтение книг и просмотр русских телепередач – это те ситуации, в которых русский язык применяется на практике. Беседуя с вашими детьми на русском языке, вы помогаете им выработать языковые и коммуникативные навыки: количество и качество имеют здесь равно большое значение!

■ Конечно же, не менее важно изучение русского языка в школе. Если вы отдадите вашего ребенка в детский сад или школу, где обучение ведется на русском языке,

вы внесете важный вклад в его будущее. Русский язык крайне важен в сфере международных отношений. Знание русского языка даст вашим детям лучшие перспективы профессионального устройства, возможности коммуникации и путешествия. Сегодня большинство учащихся владеет английским языком – знание русского языка даст вашим детям большие карьерные возможности.

■ Теперь, когда вам известны преимущества владения двумя языками, вы можете действовать! Беседуйте с детьми на русском языке и определите их в школы, где преподается этот язык: они скажут вам за это спасибо!

■ შესაბამისად, თუ თქვენ საუბრობთ რუსულად, ისაუბრეთ ამ ენაზე სახლში და უზრუნველყავით თქვენი შვილების ჩართულობა ამ ენაში სხვადასხვა სიტუაციებში. სადილის დროს მაგიდასთან საუბარი, ამბის მოყოლა, წიგნის კითხვა ან რუსული სატელევიზიო გადაცემების ყურება არის ის სიტუაციები, რომლის მეშვეობით რუსული ენა გამოიყენება პრაქტიკაში. თქვენს შვილებთან რუსულ ენაზე საუბრისას, ისინი გამოიმუშავებენ უკეთეს ენის და კომუნიკაციის უნარებს: რაოდენობას და ხარისხს აქვს დიდი მნიშვნელობა!

■ ცხადია, რუსული ენის სწავლა სკოლაში აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია. თუ თქვენ მიიყვანთ შვილებს საბავშვო ბაღში და სკოლაში, სადაც სასწავლო პროცესი

წარიმართება რუსულ ენაზე, თქვენ შეიტანთ დიდ წვლილს თქვენი შვილების მომავალში. რუსული ენა ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო სფეროში. რუსული ენის ცოდნით თქვენს შვილებს ექნებათ დასაქმების უკეთესი პერსპექტივები, კომუნიკაციისა და მოგზაურობის შესაძლებლობები. დღესდღეობით, ინგლისურ ენაზე საუბრობს მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი – რუსული ენის ცოდნა მოახდენს დიდ გავლენას თქვენი შვილების კარიერულ პოტენციალზე.

■ ახლა თქვენ იცით ორ ენაზე საუბრის უპირატესობები და დროა იმოქმედოთ. ესაუბრეთ ბავშვებს რუსულ ენაზე და მიიყვანეთ სკოლებში, სადაც ისწავლება ეს ენები – ისინი მადლობას გეტყვიან ამისთვის!

СОВЕТЫ РОДИТЕЛЯМ/ОПЕКУНАМ В СВЯЗИ С РЕГИСТРАЦИЕЙ РЕБЕНКА В ОБЩЕСТВЕННУЮ ШКОЛУ ПОСРЕДСТВОМ ИНТЕРНЕТА:

Всеобщая электронная регистрация первоклассников, как правило, проходит ежегодно весной в течение 2-3 месяцев. Она делится на 3 этапа:

■ Первоклассников возможно регистрировать в те школы, где учатся их братья или сестры, где работают их родители, или куда одновременно поступает несколько первоклассников из их семьи (начинается ранней весной (апрель), срок регистрации – 2 недели, прием документов – 2 последующие недели);

■ Всеобщая электронная регистрация (начинается в середине весны, срок регистрации – 2 недели, прием документов – 2 последующие недели);

■ В соответствии с оставшимися свободными местами, для тех, кто не попал в процессе первых двух этапов регистрации (начинается летом (июнь), срок регистрации и приема документов – 2 недели, на базе школы).

ЭТАПЫ РЕГИСТРАЦИИ:

1. После объявления регистрации на страницах Министерства образования и науки Грузии (www.mes.gov.ge) и Информационной системы управления образованием (www.emis.ge) открывается соответствующее регистрационное окно. При выборе школы вам поможет catalog.edu.ge, где размещена подробная информация обо всех общественных школах страны.
2. При входе на сайт мы видим специальную аппликацию: «Регистрация первоклассников», нажимаем и начинаем регистрацию.

რჩევები მშობლებს/მეურვეებს ინტერნეტის საშუალებით ბავშვის საჯარო სკოლაში რეგისტრაციის შესახებ:

პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია, როგორც წესი, ყოველწლიურად გაზაფხულზე იწყება და 2-3 თვის განმავლობაში გრძელდება. იგი სამ ეტაპად იყოფა:

■ პირველკლასელების ინტერნეტრეგისტრაცია იმ სკოლებში იქნება შესაძლებელი, სადაც მათი დედამამიშვილები სწავლობენ, ან მშობლები მუშაობენ, ან რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში (იწყება ადრე გაზაფხულზე (აპრილი) – რეგისტრაციის ვადა 2 კვირა, საბუთების მიღება – შემდეგი 2 კვირა);

■ საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია (იწყება შუა გაზაფხულზე – რეგისტრაციის ვადა 2 კვირა, საბუთების მიღება შემდეგი 2 კვირა);

■ თავისუფალი ადგილების მიხედვით, მათთვის, ვინც ვერ მოხვდა პირველი და მეორე ეტაპის რეგისტრაციისას (იწყება ზაფხულში (ივნისი) – რეგისტრაციისა და საბუთების მიღების ვადა 2 კვირა) სკოლის ბაზაზე.

საფეხურები:

1. რეგისტრაციის გამოცხადებიდან, შესაბამისი სარეგისტრაციო ფანჯარა გაიხსნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (www.mes.gov.ge) და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (www.emis.ge) ვებგვერდებზე. სკოლის არჩევაში დაგეხმარებათ catalog.edu.ge, სადაც ყველა საჯარო სკოლის შესახებ დეტალური ინფორმაცია არის მოცემული.
2. საიტზე შესვლისას ჩვენ დავინახავთ სპეციალურ აპლიკაციას „პირველკლასელთა რეგისტრაცია“, შევდივართ და ვიწყებთ რეგისტრაციას.

3. Для электронной регистрации ученика требуется заполнить следующую форму: имя и фамилия ребенка, личный номер. Для продолжения регистрации нажмите кнопку «Продолжить».
4. На втором этапе регистрации в соответствующих полях следует указать личный номер, имя, фамилию, номер мобильного телефона, адрес электронной почты одного из родителей (отец/мать/опекун), затем нажать кнопку «Продолжить».
5. При регистрации обязательно заполнить все поля, имеющиеся на экране, кроме адреса электронной почты. В случае если одно из полей заполнено неправильно, на экране появится соответствующее уведомление.
6. На третьем этапе регистрации необходимо выбрать в раздвигающихся полях соответствующие регион, район, желаемые школу и сектор, после чего с целью продолжения регистрации нажать кнопку «Продолжить».
7. До окончания регистрации на экране появляется информация об ученике, указанная в процессе регистрации, и уникальный код, который система автоматически дает каждому зарегистрированному первокласснику.
8. Сразу же по окончании регистрации родитель получает ответ, как в виде короткого текстового сообщения, так и посредством электронной почты.
9. После того, как система подтвердит регистрацию, необходимо официально предъявить документы непосредственно в выбранной вами школе. В разделе «Материалы – инструменты» вы найдете список необходимых документов.

3. ბავშვის ონლაინ რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი ფორმის შევსება: ბავშვის სახელი და გვარი, პირადი ნომერი. რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.
4. რეგისტრაციის მეორე ეტაპზე შესაბამის ველებში უნდა მიუთითოთ ერთ-ერთი მშობლის (დედა/მამა/მეურვე) პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.
5. რეგისტრაციისას, ელექტრონული ფოსტის გარდა, ეკრანზე არსებული ყველა ველის შევსება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ველი არაკორექტულად იქნა შევსებული, ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.
6. რეგისტრაციის მესამე ეტაპზე ჩამოსაშლელი ველების საშუალებით ამოარჩიეთ შესაბამისი რეგიონი, რაიონი, სასურველი სკოლა, სექტორი და რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.
7. რეგისტრაციის დასრულებამდე ეკრანზე გამოდის მოსწავლის შესახებ რეგისტრაციის პროცესში მითითებული ინფორმაცია და უნიკალური კოდი, რომელსაც სისტემა ავტომატურად ანიჭებს თითოეულ რეგისტრირებულ პირველკლასელს.
8. მშობელი რეგისტრაციის წარმატებით დასრულებისთანავე მიიღებს პასუხს შვილის სასურველ სკოლაში ჩარიცხვის შესახებ, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინების, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
9. როდესაც სისტემა დაგიდასტურებთ რეგისტრაციას, ოფიციალურად საბუთების წარდგენა უკვე სკოლაში მოგიწევთ. აპლიკაციაში „მასალები/ხელსაწყობები“ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, თუ რა საჭირო საბუთების წარდგენა არის საჭირო.

ДОКУМЕНТЫ, КОТОРЫЕ НЕОБХОДИМО ПРЕДЪЯВИТЬ ПОСЛЕ РЕГИСТРАЦИИ:

- Копия свидетельства о рождении, заверенная нотариусом (содержащая личный номер);
- Заявление (форму можно получить в школе);
- Медицинское свидетельство о здоровье;
- 2 фотографические карточки (3x4);
- Свидетельство о браке родителей.

РЕКОМЕНДАЦИИ И СОВЕТЫ:

- Если вы не имеете доступа к интернету, с целью регистрации вы можете обратиться в образовательный ресурс-центр вашего района.
- Электронная регистрация распространяется только на общественные школы. Сами школы осуществляют регистрацию первоклассников в режиме онлайн, тогда как частные школы принимают первоклассников на основе индивидуального решения.
- Напоминаем, что родители могут определить своего ребенка в школу после того, как ему исполнится 6 лет.
- Просим иметь в виду, что за достоверность информации, указанной при регистрации ребенка, отвечает лицо, непосредственно осуществляющее регистрацию.
- Обратите внимание на число остающихся свободных мест в выбранной вами школе. Обновление информации происходит в динамичном режиме. Число свободных мест можно проследить так же на странице: <http://catalog.edu.ge/>. В случае если лимит мест в выбранной школе заполнен до окончания регистрации, вы увидите на экране соответствующее уведомление.
- Просим иметь в виду, что регистрационный код уникален и важен для последующей идентификации ребенка.
- Родители имеют право зарегистрировать своего ребенка в любую желаемую школу, не зависимо от места проживания.
- В случае возникновения любой проблемы, связанной с регистрацией, вы можете связаться с Министерством образования и науки Грузии по телефону: (995 32) 2200220.

რეგისტრაციის გავლის შემდგომ, სკოლაში წარსადგენი საბუთები:

- ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობა (აუცილებლად პირადი ნომრით);
- განცხადება (ფორმას სკოლაში გადმოგცემენ);
- ჯანმრთელობის ცნობა;
- 2 ფოტოსურათი (3/4 -ზე);
- მშობლების ქორწინების მოწმობა.

რეკომენდაციები და რჩევები:

- თუ ინტერნეტთან ხელი არ მიგიწვდებათ, შეგიძლიათ დასარეგისტრირებლად თქვენი რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს მიმართოთ.
- ონლაინ რეგისტრაცია მხოლოდ საჯარო სკოლებზე ვრცელდება. თავად სკოლები ონლაინ არეგისტრირებენ პირველკლასელებს, კერძო სკოლები პირველკლასელებს იღებენ ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე.
- შეგახსენებთ, რომ ბავშვის საჯარო სკოლაში მიყვანა მშობელს შეუძლია 6 წლის ასაკიდან.
- გაითვალისწინეთ, რეგისტრაციის პროცესში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია პირი, რომელიც უშუალოდ ახდენს ბავშვის რეგისტრაციას.
- ყურადღება მიაქციეთ სკოლებში დარჩენილ თავისუფალი ადგილების რაოდენობას. გაითვალისწინეთ, მონაცემები იცვლება დინამიკურ რეჟიმში. სკოლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების ნახვა ასევე შესაძლებელია ვებგვერდზე: <http://catalog.edu.ge/> იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის დასრულებამდე ამორჩეულ სკოლაში არსებული ლიმიტი ამოიწურა, ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.
- გაითვალისწინეთ, რეგისტრაციის კოდი უნიკალურია და მნიშვნელოვანია ბავშვის შემდგომი იდენტიფიცირებისათვის.
- მშობელს შეუძლია დაარეგისტრიროს შვილი მისთვის სასურველ სკოლაში, საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა არ ენიჭება.
- რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში დაუკავშირდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდეგ ტელეფონის ნომერზე: (995 32) 2200220.

РУССКИЙ ЯЗЫК ПРЕПОДАЕТСЯ В СЛЕДУЮЩИХ ОБЩЕСТВЕННЫХ ШКОЛАХ ГРУЗИИ:

1. Общественная школа №2 города Ахалкалаки
2. Общественная школа №2 города Ахалцихе
3. Общественная школа №3 города Батуми
4. Гимназия «21-ый век»
5. Школа «Евро-2000»
6. Общественная школа №4 города Гардабани
7. Общественная школа №132 города Тбилиси
8. Общественная школа №136 города Тбилиси
9. Общественная школа №79 города Тбилиси
10. Общественная школа №132 города Тбилиси
11. Новая грузинская гимназия
12. Общественная школа села Хорнабуджи муниципалитета Дедоплисцкаро
13. Общественная школа №116 города Тбилиси
14. Общественная школа № 2 города Дманиси
15. Общественная школа №64 города Тбилиси
16. Общественная школа №4 города Зугдиди
17. Общественная школа №105 города Тбилиси
18. Общественная школа №146 города Тбилиси
19. Общественная школа №72 города Тбилиси
20. Общественная школа №81 города Тбилиси
21. Общественная школа №96 города Тбилиси
22. Общеобразовательная школа «Интеллект»
23. «Интеллект XXI»

რუსული ენა ისწავლება შემდეგ სკოლებში:

1. ქალაქ ახალქალაქის №2 საჯარო სკოლა
2. ქალაქ ახალციხის №2 საჯარო სკოლა
3. ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლა
4. ქალაქ ბათუმის №7 საჯარო სკოლა
5. გიმნაზია – 21-ე საუკუნე
6. სკოლა ევრო-2000
7. ქალაქ გარდაბნის №4 საჯარო სკოლა
8. ქალაქ თბილისის №132 საჯარო სკოლა
9. ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა
10. ქალაქ თბილისის №79 საჯარო სკოლა
11. ახალი ქართული გიმნაზია
12. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა
13. ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა
14. ქალაქ დმანისის №2 საჯარო სკოლა
15. ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლა
16. ქალაქ ზუგდიდის №4 საჯარო სკოლა
17. ქალაქ თბილისის №105 საჯარო სკოლა
18. ქალაქ თბილისის №146 საჯარო სკოლა
19. ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლა
20. ქალაქ თბილისის №81 საჯარო სკოლა
21. ქალაქ თბილისის №96 საჯარო სკოლა
22. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტი
23. ინტელექტი XXI

24. Общественная школа села Давитиани Лагодехского муниципалитета
25. Общественная школа села Опрети Марнеульского муниципалитета
26. Общественная школа села Кулари Марнеульского муниципалитета
27. Общественная школа №2 поселка Шаумян Марнеульского муниципалитета
28. Общественная школа №2 поселка Шулавери Марнеульского муниципалитета
29. Общественная школа №2 города Марнеули
30. Общественная школа №4 города Марнеули
31. Общественная школа №6 города Марнеули
32. Общественная школа №1 села Гореловка Ниноцминдского муниципалитета
33. Общественная школа села Тамбовка Ниноцминдского муниципалитета
34. Общественная школа №2 города Ниноцминда
35. Общественная школа №3 города Рустави
36. Общественная школа №1 города Сенаки
37. Общественная школа №4 города Поти
38. Общественная школа №32 города Кобулети
39. Общественная школа №1 села Чакви Кобулетского муниципалитета
40. Общественная школа №13 города Кутаиси
41. Общественная школа №32 города Тбилиси
42. Общественная школа №98 города Тбилиси

24. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ დავითიანის საჯარო სკოლა
25. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფრეთის საჯარო სკოლა
26. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულარის საჯარო სკოლა
27. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის №2 საჯარო სკოლა
28. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერის №2 საჯარო სკოლა
29. ქალაქ მარნეულის №2 საჯარო სკოლა
30. ქალაქ მარნეულის №4 საჯარო სკოლა
31. ქალაქ მარნეულის №6 საჯარო სკოლა
32. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №1 საჯარო სკოლა
33. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტამბოვკის საჯარო სკოლა
34. ქალაქ ნინოწმინდის №2 საჯარო სკოლა
35. ქალაქ რუსთავის №3 საჯარო სკოლა
36. ქალაქ სენაკის №1 საჯარო სკოლა
37. ქალაქ ფოთის №4 საჯარო სკოლა
38. ქალაქ ქობულეთის №2 საჯარო სკოლა
39. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №1 საჯარო სკოლა
40. ქალაქ ქუთაისის №13 საჯარო სკოლა
41. ქალაქ თბილისის №37 საჯარო სკოლა
42. ქალაქ თბილისის №98 საჯარო სკოლა

Европейская хартия региональных языков или языков меньшинств – это конвенция Совета Европы в поддержку языков меньшинств, традиционно используемых в той или иной стране. Чтобы узнать больше о Европейской хартии региональных языков или языков меньшинств посетите наши веб-сайты:

coe.int/minlang
coe.int
coe.ge

Совет Европы является ведущей организацией на континенте в области прав человека. Он включает в себя 47 стран, 28 из которых являются членами Европейского Союза. Все страны – члены Совета Европы подписали Европейскую конвенцию о правах человека – международный договор, призванный защищать права человека, демократию и верховенство права. За применением Конвенции в государствах-членах следит Европейский суд по правам человека.

რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია წარმოადგენს ევროპის საბჭოს კონვენციას, რომელიც ხელს უწყობს იმ უმცირესობათა ენების დაცვას, რომლებზეც ტრადიციულად საუბრობენ ქვეყანაში. რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიისა და ევროპის საბჭოზე დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდებს:

coe.int/minlang
coe.int
coe.ge

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მონინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

RUS
KAT

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ევროპის საბჭო